08/10/2019

რუსთავში შშმ პირთა ცეკვისა და სიმღერის საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა

ა.წ. 6 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით რუსთავის პროფესიულ-დრამატულ თეატრში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სიმღერისა და ცეკვის საერთაშორისო ფესტივალის – „ივერია ბრილიანტი“ გალა კონცერტი გაიმართა.

ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაში, გერმანიის, უკრაინის, ისრაელის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, პოლონეთისა და საქართველოს50-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საუკეთესო კონკურსანტები ჟიურიმ შეაფასა და გამარჯვებულებს სპეციალურ დიპლომებთან ერთად საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ რუსთავის მერი ბ-ნი ირაკლი ტაბაღუა, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ლადო კახაძე, რუსთავის მერის მოადგილეები – ბესიკ

ტოგონიძე და გოჩა ლორია, საკრებულოს წევრები, სასულიერო პირები და სხვა მოწვეული სტუმრები.

კონკურსი ბ-ნ ნუგზარ ჭიაბერაშვილის ორგანიზებით და რუსთავის მერიის ხელშეწყობით გაიმართა.

თაშორისო

patriarchate.ge